



რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

კონრად ადენაუერის ფონდის სტიპენდია


„რელიგია საბჭოთა პერიოდის საქართველოში“

◇ კონრად ადენაუერის სახელობის ფონდი აწესებს სტიპენდიას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რელიგიის კვლევების სამაგისტრო პროგრამის წარმატებული სტუდენტებისთვის. სტიპენდია წესდება სამაგისტრო საფეხურზე კვლევის მოსამზადებლად თემაზე „რელიგია საბჭოთა პერიოდის საქართველოში“.

აღნიშნული ინიციატივის მიზანია რელიგიის კვლევებში ახალი ცოდნის შექმნა, რელიგიის საკითხებზე სამეცნიერო კვლევების და ახალგაზრდა მკვლევარების მხარდაჭერა.

- ✓ სტიპენდიანტთა რაოდენობა - 1
- ✓ ყოველთვიური სტიპენდიის რაოდენობა: 800 ლარი
- ✓ სტიპენდიის მიღების წინაპირობა: შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაში მაღალი მაჩვენებელი და საუკეთესო კვლევითი პროექტის წარდგენა.
- ✓ სტიპენდიის შენარჩუნება დამოკიდებული იქნება სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე და კვლევის პროგრესზე.

◇ რელიგიის საკითხები საბჭოთა პერიოდის საქართველოში მოიცავს თემათა დიდ სპექტრს. სტუდენტს შეუძლია თავად განსაზღვროს სფერო რელიგიის საკითხის შესასწავლად, შესაბამისად კვლევის მეთოდოლოგიაც. სტიპენდიის მოსაპოვებლად კვლევის საგანი შეიძლება იყოს საბჭოთა საქართველოში რელიგიის თემის თანაკვეთა პოლიტიკასთან, განათლებასთან, კულტურასთან ა.შ. ფონდის მიერ სამაგისტრო საფეხურზე სწავლის და კვლევის მხარდაჭერის მიზანია შეიქმნას ახალი ცოდნა დღემდე ნაკლებად შესწავლილ თემაზე: კონკრეტულ ისტორიულ დროსა და სოციალურ - კულტურულ გარემოში როგორ იცვლება, ნარჩუნდება ან იბადება რელიგიის ახალი ფორმები, როგორი გავლენა მოახდინა საბჭოთა პოლიტიკამ, საბჭოთა იდეოლოგიურმა და კულტურულმა სისტემამ რელიგიურ ინსტიტუციებზე, ინდვიდიუალურ რელიგიურობაზე, რელიგიურ პრაქტიკაზე და მის მნიშვნელობაზე ყოველდღიურობაში. სამაგისტრო საფეხურზე რელიგიის კვლევის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ინსტიტუციურ რელიგიასთან დაკავშირებული საკითხის/პერიოდის სიღრმისეული გამოკვლევა, ისე რელიგიურობის ფორმების, პრაქტიკის, გამოცდილების შესწავლა. კვლევის მიზანი შეიძლება იყოს საქართველოში გავრცელებული ნებისმიერი რელიგია, როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული რელიგიურობის ფორმები. სასურველია, რომ კვლევის თემა ეხებოდეს საბჭოთა პერიოდის კონკრეტულ დროს/კონკრეტულ სფეროს/რეგიონს/ფენომენს, რათა სიღრმისეულად და კონტექსტუალურად მოხდეს საკითხის შესწავლა. სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების და წარმატებული განაცხადის შემდეგ სტიპენდიატი კვლევაზე იმუშავებს სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად.



კვლევითი პროექტის განაცხადი

◇ კვლევის განაცხადის მიზანია შეფასდეს სტუდენტის მოტივაცია, ცოდნა და კვლევის უნარები. კვლევის იდეამ შეიძლება განიცადოს გარკვეული მოდიფიკაცი სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციის შემდეგ.

1. **საკვლევი თემა/პრობლემა** (განსაზღვრეთ თქვენი საკვლევი თემა/პრობლემა და დაასაბუთეთ მისი აქტუალურობა).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200
2. **კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/კითხვები** (განსაზღვრეთ კვლევის კონკრეტული მიზანი და კვლევის მთავარი კითხვა).
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150
3. **მეთოდოლოგია** (აღწერეთ კვლევის მეთოდოლოგია; მიუთითეთ მოიცავს თუ არა კვლევა საარქივო მუშაობას)
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 150
4. **პირადი მოტივაცია** (აღნიშნეთ საკითხით დაინტერესების და შესწავლის პირადი მოტივაცია, ამჟამინდელი ცოდნა, კვლევის გამოცდილება)
სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 200

◇ გთხოვთ, შევსებული დოკუმენტი გამოაგზავნოთ 2022 წლის 1 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე:

sopiko.zviadadze@iliauni.edu.ge

